კარგი თამაშის კარგი შედეგი

18 მაისს, ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე, **თბილისის "დინამოს"** ოსტატ ფეხბურთელებმა ჩაატარეს მორიგი კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე. ამ დღეს მათ წინააღმდეგ თამაშობდა **მოსკოვის "ტორპედო".**

სრულ 5 საათზე დაიწყო თამაში. ტაიმის პირველ წუთებში თბილისის დინამოელებმა მოწინააღმდეგის თამაშის ტაქტიკის გამოცნობისა და ენერგიის შენარჩუნების მიზნით მიიღეს "ტორპედოს" თავდამსხმელთა ხუთეულის შეტევა. ამის გამო ტაიმის პირველი 20-წუთიანი ბრძოლა სტუმრების უპირატესობით აღინიშნა.

31-ე წუთიდან თბილისელები კონტრშეტევებზე გადადიან. ბურთის ზუსტი და სწრაფი გადაცემებით ავითარებენ თავბრუდამხვევ ტემპს, განსაკუთრებით აღსანიშნავია პაიჭაძის ვირტუოზული თამაში. მის მიერ ცენტრიდან აღებული გარღვევები და ძლიერი დარტყმები კრიტიკულ მომენტში აყენებს "ტორპედოს" დამცველებს, კერძოდ კი – მეკარეს. 37-ე წუთზე ჯორბენაძემ, მ. ბერძენიშვილმა და ჯეჯელავამ გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია და გადასცეს ბურთი პაიჭაძეს. ეს უკანასკნელი ატყუებს ორ დამცველს და ხაზამდის მიტანილ ბურთს ზუსტად აწვდის თავდამსხმელთა მარცხენა ფრთას. აქ კი თავის ადგილზე აღმოჩნდა ხარბედია, რომელიც ხსნის ანგარიშს.

პირველი ტაიმი დამთავრდა "დინამოს" სასარგებლოდ ანგარიშით – 1:0.

შეჯიბრების მეორე ნახევარში თამაში კვლავ დინამოელებს მიჰყავთ. მე-11 წუთზე მ. ბერძენიშვილის მიერ მიწოდებულ ბურთს უნაკლოდ იყენებს პაიჭაძე, რომელიც ლამაზი დრიბლინგებით უსხლტება სამ დამცველს და ძლიერი კუთხური დარტყმით ადიდებს ანგარიშს – 2:0.

38-ე წუთზე პაიჭაძე გადის გარღვევაზე და ზუსტად აწვდის ბურთს მარცხენა ფრთას. ხარბედიას მეორეჯერ გააქვს ბურთი.

მეორე კალენდარული მატჩი სსრკ პირველობაზე დამთავრდა თბილისის "დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით – 3:0.

18 მაისს მატჩში თამაშის მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდნენ: პაიჭაძე, ჯეჯელავა, ფროლოვი და მ. ბერძენიშვილი.

ვ. გ–ლია.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 30 მაისი, 1939 წ.